საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცვაა, ფცუილებით და ჯიბეებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 29 აპრილი. 2024 წ. №52 (9732) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

საქართველო უპირველეს ყოვლისა!

საუკუნის პროექტი

რიკოთის გზის ნაწილი გაიხსნა!

2

საქართველოს საპატრიარქო: ხელისუფლება თვალნათლივ დაადგა ტრადიციული ღირებულებების დაცვის გზას

გუჯა ბენდელიანი – ჭეშმარიტი მამულიშვილი



7



არა – „რუსულ“ კანონს

4

ვინც უნდა იყოს პრემიერ-მინისტრი, უნდა ვალიაროთ, რომ საქართველოს გადარჩენაზე უპირველესი პასუხისმგებელი მაინც ბიძინა ივანიშვილია

◉ ტრიუმფი პარიზისკენ იმედით!

5

გერმანელი მილიარდერი, რომელიც 2018 წლიდან გარდაცვლილად ითვლებოდა, მოსკოვში საყვარელთან აღმოაჩინეს

ტექნიკური მიზეზების გამო გაზეთის დღევანდელი ნომერი რვაგვერდიანია, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით მკითხველს.

მოვდივართ, მოგვიხარია. მოგვყავს ხაბე და ბაია...

3

თუ ბრალდებული სააკაშვილი კატეგორიულად არ პასუხობს დასმულ შეკითხვებს და „ვივამედიდან“ სატელევიზიო ჩართვებს მხოლოდ პოლიტიკური განცხადებებისთვის იყენებს, რატომ გადაიცემა მისი აბსოლუტურად მავნებლური სიცრუეები პირდაპირ ეთერში?..



8

ნატო ვაჩნაძის ფონდის პრემიაზე „ელისო“ ნამუშევრების რეგისტრაცია დაიწყო

ირაკლი კობახიძე: გაიხსნა საუკუნის პროექტის — რიკოთის მაგისტრალური გზის მნიშვნელოვანი ნაწილი

მინდა, მოგილოცოთ ზესტაფონის შემოვლითი გზის გახსნა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი იმ დიდი პროექტისა, რასაც ჰქვია – საუკუნის პროექტი – რიკოთის მაგისტრალური გზის მშენებლობა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ზესტაფონის შემოვლითი 9 კმ-იანი მაგისტრალური გზის გახსნის ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისივე თქმით, პროექტი, რომელიც სრულად შეესაბამება გარემოსდაცვით სტანდარტებს და გამოირჩევა უსაფრთხოების მაღალი ხარისხით, დაახლოებით ნახევარი საათით შეამცირებს მგზავრობის დროს აღნიშნულ მონაკვეთზე.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გზა ხელს შეუწყობს ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის განვითარებას.

„გასული წლის შემოდგომაზე გაიხსნა რიკოთის მაგისტრალის 27 კმ-იანი მონაკვეთი, რომლითაც ჩვენი მოსახლეობა და სტუმრები უკვე სარგებლობენ და სერიოზულად ამცირებს მგზავრობის დროს. დღეს იხსნება ზესტაფონის შემოვლითი, 9 კმ-იანი, 4-ზოლიანი გზა.

მხოლოდ ამ მონაკვეთზე გაიჭრა 4 გვირაბი, აშენდა 11 ხიდი, ჩატარდა ძალიან დიდი, მასშტაბური სამუშაოები. მთლიანობაში ეს არის ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე შექმნილი ინფრასტრუქტურა, რომელიც შეესაბამება გარემოსდაცვით სტანდარტებს, გამოირჩევა უსაფრთხოების მაღალი ხარისხით და დაახლოებით ნახევარი საათით შეამცირებს მხოლოდ ამ მონაკვეთზე მგზავრობის დროს. შესაბამისად, ამ სიკეთით ისარგებლებენ, რა თქმა უნდა, ჩვენი მოსახლეობა, ჩვენი სტუმრები. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც აქვს ჩვენს ქვეყანას.

ეს ახალი გზა ასევე განტვირთავს ქალაქ ზესტაფონს და მისცემს განვითარების ახალ შესაძლებლობებს. ამ კუთხითაც მნიშვნელოვანია ახალი მონაკვეთის მშენებლობა. ამ გზის დასრულებით აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გზის უკვე 276 კმ იქნება აშენებული. მათ შორის, აშენებულია რიკოთის პროექტით გათვალისწინებული 52 კმ-იანი გზიდან 36 კმ. დარჩენილი მონაკვეთების მშენებლობა გრძელდება და ეტაპობრივად დასრულდება ყველა დაგეგმილი პროექტი.

რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების ჯამური ღირებულება 2.6 მილიარდი ლარია.

პროექტი 2024 წლის ბოლოს დასრულდება.

ჩვენ ერთად ვართ!

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილი და პარტიის რეგიონული მდივანი დიმიტრი სამხარაძე მცხეთის, დუშეთის, ყაზბეგისა და თიანეთის ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და პარტიულ აქტივს შეხვდნენ

მცხეთაში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ალუდა ღუდუშაური, გია ბენაშვილი, დიმიტრი ხუნდაძე, სახელმწიფო რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის მხარეში დავით ნოზაძე.

შეხვედრაზე ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებაზე ისაუბრეს.

აღინიშნა, რომ „ქართული ოცნების“ მიზანი არჩევნებში გამარჯვება და საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაა.

„ვაგრძელებთ შეხვედრებს რეგიონებში. დღეს შეხვედრა მქონდა მცხეთაში, რეგიონის პარტიის აქტივთან. ძალიან კარგი საუბარი გვქონდა. მიმოვიხილეთ მიმდინარე პოლიტიკური საკითხები. ძალიან მაგარი, საბრძოლო განწყობაა. ჩვენი მთავარი მიზანია, პარტია იყოს ძლიერად მობილიზებული არჩევნებისთვის და ძლიერად გავიმარჯვოთ. ეს არის მთავარი გზავნილი. მე გავუზიარე ჩემი შეფასებები მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, რაც ხდება ბოლო პერიოდში საქართველოში, მთელს მსოფლიოში და რეგიონში. მოგეხსენებათ, ძალიან რთული ვითარებაა, ამიტომ, საჭიროა ჩვენი ქვეყანა მშვიდად, სტაბილურად, როგორც ვითარდება, ასე გაგრძელდეს ვითარება საქართველოში. საფრთხეები და რისკები არსად წასულა. ომი გრძელდება უკრაინაში და ალბათ დიდხანს გაგრძელდება, არავინ იცის, როდის დამთავრდება ეს ომი, ამიტომ საჭიროა მობილიზება, სიფრთხილე და ძალიან მტკიცედ ყოფნა. ჩვენი ხელისუფლების და საზოგადოების მობილიზებაა საჭირო, რომ არ დავუშვათ რაიმე პროვოკაციები ქვეყანაში“, – აცხადებს ირაკლი ღარიბაშვილი.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარისა და პარტიის ლიდერების შეხვედრები რეგიონებში 2 მარტს დაიწყო. მცხეთა-მთიანეთის გარდა, შეხვედრები გაიმართა აჭარაში, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის და შიდა ქართლის მხარეში.

ირაკლი ღარიბაშვილი პარტიულ აქტივს 100 დღის განმავლობაში 10 რეგიონში შეხვდება.

საქართველოს საპატრიარქო: ხელისუფლება თვალნათლივ დაადგა ტრადიციული ღირებულებების დაცვის გზას

ევროინტეგრაციის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით, საქართველოს საპატრიარქო განცხადებით ეხმიანება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებიც ე.წ. აგენტების შესახებ კანონპროექტის ხელახალმა განხილვამ და პარლამენტში პირველი მოსმენით მისმა მიღებამ გამოიწვია.

„საზოგადოებაში არსებული დაპირისპირების ხაზი დღეს ფასეულობების წინააღმდეგ ბრძოლისა და სახელმწიფოს სუვერენიტეტის ველზე გადის. უახლეს ისტორიაში ჩვენი ქვეყნის წინსვლა დაფუძნებული უნდა იყოს წმინდა ილია მართლის სიტყვებზე: „მამული, ენა, სარწმუნოება“, – ნათქვამია საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რომელიც სრულად იზიარებს მმართველი პარტიის პოზიციას როგორც კანონპროექტთან დაკავშირებით, ასევე სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობაში:

„ხელისუფლება გარკვევით დეკლარირებს, რომ მისი პოლიტიკური ვექტორი, ისევე როგორც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის სურვილი, არის ევროინტეგრაცია. განცხადებაში ნათქვამია, რომ წლების განმავლობაში დიპლომატიური სამსახურის უმაღლესი პირებისგან ისმოდა დამაჯერებელი დასტური იმისა, რომ ქვეყნის სწრაფვა ევროინტეგრაციისაკენ არ გულისხმობდა საკუთარი კულტურისა და ფასეულობების უარყოფას. თუმცა, ფაქტია, წლების განმავლობაში უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების თუ ტელევიზიების მხრიდან წარმოებდა ეკლესიის დისკრედიტაციის კამპანია და ეს ხდებოდა ლგბტ ცხოვრების წესის, ცოდვის პროპაგანდის მზარდი ტენდენციის პარალელურად“.

საპატრიარქოს პრესსამსახური ასევე იმეორებს მმართველი პარტიის მიერ კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით საჯაროდ გამოთქმულ პოზიციას და კმაყოფილებით შენიშნავს, რომ „ხელისუფლება თვალნათლივ დაადგა ტრადიციული ღირებულებების დაცვის გზას“.

მამუკა მდინარაძე: ყველაფრით ცდილობენ, აქცია გააშავონ, ამ შეკრებაზე ერთი ადამიანიც კი არ იქნება, ვისაც არ ენდომება დასწრება

აბსოლუტური ისტერიაა მეორე მხრიდან. მაგალითად, 29 აპრილის აქციასთან დაკავშირებით, ვერ წარმოიდგინეს, რომ ამდენი ადამიანი მიიღებდა ამ ეროვნულ შეკრებაში მონაწილეობას და თუკი რაიმე გზა არსებობს, ყველაფრით ცდილობენ, რომ ხვალინდელი აქცია გააშავონ, – ამის შესახებ განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ.

„გარანტიას გაძლევთ, რომ იურიდიულ კომიტეტზე კვლავ ვერცერთი არგუმენტი ვერ იქნება წარმოდგენილი. მიუხედავად იმ ისტერიული კამპანიისა, დაბუსტული პოსტებისა და ძალით გარეკლამებული საკითხებისა (დიახ, ჩვენც ვბუსტავთ გარკვეულ მოსაზრებებს სოციალურ ქსელში, რომ საზოგადოების ინფორმირება მოვახდინოთ), მაგრამ, ამავდროულად, აბსოლუტური ისტერიაა მეორე მხრიდან. მაგალითად, ხვალინდელ აქციასთან დაკავშირებით, ვერ წარმოიდგინეს, რომ ამდენი ადამიანი მიიღებდა ამ ეროვნულ შეკრებაში მონაწილეობას და თუკი რაიმე გზა არსებობის, ყველაფრით ცდილობენ, რომ ხვალინდელი აქცია გააშავონ, ცდილობენ რომ კანონი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ გამჭვირვალობას ეხება, რუსული გახადონ. წელს საბედნიეროდ აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა, რადგან ადამიანების უმეტესობამ გაიგო რასთან აქვთ საქმე, რომ შეუძლებელია გამჭვირვალობა იყოს რუსული და გაუმჭვირვალობა ევროპული. ევროპას და ევროპულობის აღქმას ყველაზე მეტად ის ადამიანები აზიანებენ, რომლებიც ევროპარლამენტიდან და ჩვენი ქვეყნის შიგნიდან გვეუბნებიან, რომ თუ გამჭვირვალობა იქნება, ეს არაევროპულია, მაშინ ჩვენ სანქციებზე ვიფიქრებთ, თქვენ წინააღმდეგ ვიქნებითო. გვიწერენ რეზოლუციაში, რომელსაც ფასიც აღარ აქვს, თითს გვიქნევენ, თურმე ჩვენს ქვეყანაში, ასეთი კულტურის, მენტალობის და ტრადიციების ხალხში, ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის უფლება არ გვაქვს, თურმე ამ ადამიანების უფლებები და პროპაგანდა არ უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან და თურმე გამჭვირვალობის კანონი არ უნდა მივიღოთ. გამჭვირვალობა, ტრადიციული ღირებულებების დაცვა, უფლებებისა და პროპაგანდის ერთმანეთისგან გამიჯვნაა რუსული? რატომ არეკლამებენ ასე რუსეთს? ამ დროს მტრის, ოკუპანტის საქმეს ვინ აკეთებს, ქართველი ხალხი ბოლოში სწორ ანალიზს აკეთებს, ქართველი ხალხი ხვალ თავის სიტყვას იტყვის. არ იქნება ოჯახი, რომლის წარმომადგენელიც იმ აქციაზე არ იდგება, არ იქნება სოფელი, დაბა, მუნიციპალიტეტი, რომლის ძალიან ღირსეული წარმომადგენელიც იქ არ იქნება.

...მსგავსი მავნებლობა არ არსებობს, რაც იმ რეზოლუციაში ჩაიწერა. როდესაც გეუბნებიან: გამჭვირვალობის კანონი გაიწვიე და არავითარ შემთხვევაში არ აკრძალო ლგბტ პროპაგანდა, ამაზე დიდი მავნებლობა არ არსებობს, – ასე შეაფასა მამუკა მდინარაძემ ევროპარლამენტის რეზოლუცია საქართველოს შესახებ.

ᲛᲝᲕᲓᲘᲕᲐᲠᲗ, ᲛᲝᲒᲕᲘᲮᲐᲠᲘᲐ, ᲛᲝᲒᲕᲧᲐᲕᲡ ᲮᲐᲑᲔ ᲓᲐ ᲑᲐᲘᲐ...

ᲗᲣ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ ᲓᲐᲡᲛᲣᲚ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ „ᲕᲘᲕᲐᲛᲔᲓᲘᲓᲐᲜ“ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲩᲐᲠᲗᲕᲔᲑᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲘᲪᲔᲛᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲛᲐᲕᲜᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲪᲠᲣᲔᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ? ᲑᲣᲦᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲐᲠᲘ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲡ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲒᲐᲣᲑᲝᲜᲐᲠᲘ ᲞᲠᲘᲕᲘᲚᲔᲒᲘᲔᲑᲘᲗ? ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲘᲜᲘᲠᲝ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲝ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲞᲐᲠᲝ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ ᲛᲘᲬᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲧᲘᲓᲝ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲩᲣᲥᲝ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲜᲐᲘᲠᲘ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲐᲡᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲕᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ზურაბიშვილმა მუქარა აგვისრულა და გასულ კვირაში ციხიდან გაათავისუფლა ბოროტი ხულიგნობისა და ადამიანის მკვლელობის მცდელობისთვის გასამართლებული ლაზარე გრიგორიადისი.

ქალბატონმა სალომემ ამ ნაბიჯით კიდევ ერთხელ დაადასტურა საფუძვლიანი ეჭვები მისი გონებრივი შესაძლებლობების შესახებ. ამ თვალხატულა უბირი ბიჭის შეწყალებით მან საქართველოს უკლებლივ ყველა მოქალაქეს, მათ შორის რადიკალურ ოპოზიციასაც პირში მიახალა, რომ საქართველო, თვით წმინდა ნინოს, დავით აღმაშენებლისა და შოთა რუსთაველის ჩათვლით, მისთვის არის არარაობა, ერთი გადაფურთხება და მეტი არაფერი; რომ ყველას შეუძლია მოკლას, დაწვას, დაასახიჩროს... პრეზიდენტი ყველა მოძალადეს გვერდში დაუდგება.

არ ვიცი, პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ რომელ პლანეტაზე აპირებს გამგზავრებას, დედამიწაზე კი არ მეგულება კუთხე, სადაც ვინმე მისი საქციელის თუნდაც შვილების კეთილდღეობისთვის ბრძოლის დაუოკებელი სურვილით გამართლებას შეეცდება.

იმედია, ორბელიანების სასახლეში მოიძებნება ქართულ ენაზე წერა-კითხვის მცოდნე პრეზიდენტის ვინმე ალალი გულშემატკივარი, ვინც მადლს მოისხამს და ზურაბიშვილს ამ სიტყვებს წაუკითხავს.

რახან სიტყვა პრეზიდენტზე ჩამოვარდა, ბარემ სააკაშვილზე შეყვარებულებსაც გავახარებ — მიშა მაგარია, მიშა მხნეადა, იმედიანადაა და „ვივამედიდან“ დარიგებებსაც უშურველად გვაფრქვევს. აგერ, ბატონო, გასულ კვირაში თავისი აპარტამენტიდან სასამართლო პროცესში კიდევ ერთხელ ჩაერთო, დაწვრილებით მიმოიხილა მსოფლიო პოლიტიკა. ჩვენ, საქართველოს უბირ მოქალაქეებს კიდევ ერთხელ შეგვახსენა საკუთარი (სააკაშვილის) არარსებული დამსახურება ერისა და სამშობლოს წინაშე და კიდევ ერთხელ მოგვიწოდა სახელმწიფო გადატრიალებისაკენ.

ტრადიციისამებრ, არცერთი სიტყვა სასამართლოს არცერთ კითხვაზე! არადა, სასამართლო განიხილავდა ბრალდებას უშუალოდ სააკაშვილის მიერ ბიუჯეტის ძარცვაზე მისი პრეზიდენტობისას.

უკვე აღარ მახსოვს, მერამდენედ ვიმეორებ — თუ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ ᲓᲐᲡᲛᲣᲚ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ „ᲕᲘᲕᲐᲛᲔᲓᲘᲓᲐᲜ“ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲩᲐᲠᲗᲕᲔᲑᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲘᲪᲔᲛᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲛᲐᲕᲜᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲪᲠᲣᲔᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ? ᲑᲣᲦᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲐᲠᲘ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲡ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲒᲐᲣᲑᲝᲜᲐᲠᲘ ᲞᲠᲘᲕᲘᲚᲔᲒᲘᲔᲑᲘᲗ? ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲘᲜᲘᲠᲝ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲝ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲞᲐᲠᲝ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ ᲛᲘᲬᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲧᲘᲓᲝ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲩᲣᲥᲝ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲜᲐᲘᲠᲘ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲐᲡᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲕᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝ?

ეს არ არის ხუმრობა. პატიმარ სააკაშვილის ფენომენი ძალიან საშიშია, ზოგადად, ქართული სამართლისთვის — დღესაც და მომავალშიც. ხელისუფლებამ უნდა იფიქროს ამაზე.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი ხელისუფლება ბევრს მუშაობს მეგობარი ქვეყნების ინფორმირებაზე საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. მესმის, რომ ეს ურთულესი და ძვირადღირებული პროცესია. ისიც მესმის, რომ მხოლოდ ძალაუფლებაზე მეოცნებე და ყველაფრის მკადრებელი ოპოზიცია ყველანაირად ხელს უშლის ამ პროცესს, მაგრამ შედეგებიდან გამომდინარე, მეტი, ბევრად მეტია საჭირო.

თავად განსაჯეთ, გასულ კვირაში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა კიდევ ერთხელ გააკეთა განცხადება ტანჯული სააკაშვილის განთავისუფლებაზე, ქართული ოპოზიციის ლიდერად აღზევებული ნიკა გვარამიას მაგარბიჭობაზე, მძარცველ კეზერაშვილის დამსახურებაზე ქართული და მსოფლიო დემოკრატიზმის წინაშე...

განსაკუთრებით დამაფიქრებელია ევროპარლამენტის ანტიქართული რეზოლუცია: აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მოხსენიება; სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლების რეკომენდაცია; „ოლიგარქ“ ბიძინა ივანიშვილის დასანქცირების და ქართული პოლიტიკიდან განაპირების მოთხოვნა; ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ და „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონების მიღებაზე უარის თქმა...

მადლობა ღმერთს, ევროპარლამენტს ჯერჯერობით არ მოუთხოვია ქართულ ენაზე წერა-კითხვისა და ლაპარაკის, ქართულ სუფრაზე თამადის არჩევის, ხალხური მრავალხმიანი სიმღერების, „აგრესიული“ ქართული ცეკვების, სტუმარ-მასპინძლობის, ქალისადმი ხაზგასმული პატივისცემის, უფროს-უმცროსობის, მშობლებისადმი განსაკუთრებული რიდის, მიცვალებულთა დატირების და სხვა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების აკრძალვა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲡ ᲛᲔᲠᲙᲐᲜᲢᲘᲚᲣᲠ-ᲬᲐᲛᲥᲔᲖᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲣᲑᲘᲫᲒᲔᲑᲡ, ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲝᲓ, ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠ ᲑᲘᲐ ᲑᲣᲦᲐᲫᲔ, ᲙᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐ-ᲑᲘᲠᲩᲘᲡ ᲘᲜᲡᲞᲘᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲜᲐᲙᲐᲠᲜᲐᲮᲔᲕᲘᲐ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ. რა თქმა უნდა, მიშისტ ოპოზიციონერთა, მაგრამ უმთავრესად, ჩვენი ევროპელ-ამერიკელი პარტნიორების დასანახად — საქართველო არ არის ის ბნელი ქვეყანა, როგორადაც მას „ტანჯული“ დედა-გიული, ან „ევროპელი“ სალომე სამადაშვილი წარმოადგენენ. ეს არის უძველესი და უდიდესი (ფრანგებსა და გერმანელებს, რომ „სიზმრადაც არ მოლანდებიათ“) ისტორიისა და კულტურის ქვეყანა. რომ ქართველი ხალხის (ხაზს ვუსვამ, ხალხისა და არა ქუჩაში სამარცხვინოდ უწმაწური პლაკატებით შეიარაღებული ბრბოდ ქცეული გოგო-ბიჭების) აზრი საინტერესო და ყურადსაღებია მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ქვეყნისთვის.

როგორ ჩაივლის და რა შედეგები მოჰყვება ამ შეხვედრას, რამდენიმე საათის შემდეგ ჩვენი თვალით ვიხილავთ. ახლა კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ერთი კვირით ადრე გაცხადებულმა (ალბათ, „დაანონსებული“ სჯობდა!) ამ აქციამ ნაცოპოზიციაში დიდი რყევები და შიშიანობა გამოიწვია. გასულ კვირაში ოპოზიცია სწორედ ამის გადასაფარად ავრცელებდა წარმოუდგენელ ჭორებსა და დამცინავ კომენტარებს აქციის მიზნებისა და უშუალოდ მისი მონაწილეების შესახებ. ვფიქრობ, ამჯერად აჯობებს თავი შევიკავო მათი ავტორების დასახელებისა და კომენტარების ციტირებისგან.

ერთი რამ კი აუცილებლად უნდა ითქვას. გასული კვირის შუაში ექვსმა ოპოპარტიამ კიდევ ერთხელ გაგვახარა — 28 აპრილს რუსთაველზე ახალ აქციას ვგეგმავთო. არადა, მათი აქცია რუსთაველზე უკვე ორი კვირაა მილასლასებს და გაუგებარია, რას უნდა ემსახურებოდეს მისი კიდევ ერთხელ გამოცხადება.

ანა წითლიძის განცხადებით, „28 აპრილის აქციაზე, იდგებიან თავისუფალი ადამიანები, რომლებიც გამოხატავენ თავიანთ თავისუფალ ნებას და დაიცავენ ამ ქვეყნის მომავალს და ამ ქვეყნის დამოუკიდებლობას და, აი, ეს იქნება განსხვავება 28 აპრილისა და 29 აპრილის აქციას შორის, რომელიც დაანონსებული აქვს „ქართულ ოცნებას“ და სადაც ადამიანები ძალით, თავიანთი ნების წინააღმდეგ უნდა მიიყვანონ და დააყენონ ამ აქციაზე“ (სტილი დაცულია თ. ქ.).

რირებულ მიტინგზე გამოვიდეს და გაბრიყვებულ ახალგაზრდობას ევროპარლამენტისადმი სააკაშვილის პოლიტპატიმრად შერაცხვისკენ მოუწოდოს. თანაც, დაარწმუნოს, რომ პოლიტპატიმრობა სააკაშვილის უდანაშაულობის აღიარებისა და, შესაბამისად, ციხიდან მისი გათავისუფლების უტყუარი გარანტიაა.

შესაძლოა, ბატონმა ბუღაძემ თავადაც არ იცოდეს, რომ სანუკვარი ევროსაბჭოს განმარტებით, ადამიანის პოლიტპატიმრად აღიარება არ ნიშნავს მის უდანაშაულობას და არ იძლევა მისი საპატიმრო ადგილიდან გათავისუფლების არავითარ საფუძველს. უბრალოდ, პოლიტპატიმრის სტატუსიანი სააკაშვილი სჭირდება აი, ამ „პატიოსან“ საზოგადოებას: ᲢᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲫᲛᲔᲑᲘ ᲑᲘᲠᲩᲔᲑᲘ, ᲣᲘᲛᲔᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲓᲔᲑᲘ ᲚᲝᲛᲯᲐᲠᲘᲔᲑᲘ, ᲛᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲑᲣᲦᲐ-ᲑᲐᲜᲘ ᲑᲣᲠᲩᲣᲚᲐᲫᲔᲑᲘ, ᲡᲚᲠᲯ ᲔᲯᲝᲠᲯᲘᲐ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲝᲖᲐᲠᲘ ᲜᲐᲢᲐᲤᲔᲠᲐᲫᲔ, ᲛᲐᲠᲗᲝᲮᲔᲚᲐ-ᲛᲐᲠᲗᲝᲚᲣᲚᲘ ᲚᲘᲐᲚᲙᲐ ᲮᲝᲨᲢᲐᲠᲘᲐ, ᲛᲝᲰᲐᲛᲔᲓᲔᲚᲐᲚᲙᲝ ᲔᲚᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲘᲡ ᲑᲝᲯᲐᲩᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲯᲣᲯᲐᲯᲑᲣᲠ-ᲛᲝᲯᲣᲯᲘᲠᲘᲗᲘᲗᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲐ ᲰᲘᲰᲔ ᲒᲐᲨᲐᲫᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲓᲝᲑᲘᲗ.

ვფიქრობ, საქართველოს მოაზროვნე ხელისუფლებას არ უნდა გაუჭირდეს ჩვენი უცხოელი პარტნიორების დოკუმენტურად დარწმუნება, რომ თვითონ სააკაშვილი, დედა-გიული, კეზერაშვილი და ზოგიერთი სხვა ქართველი ხალხის კი არა, ოდიოზური სექტის წარმომადგენელია და არაფერი ამოძრავებთ იოლად ფულის შოვნის გარდა.

რაც შეეხება მოაზროვნე ქართველი საზოგადოების წარმომადგენლობასთან საჯარო შეხვედრას, ხელისუფლებამ ეს აქცია ზუსტად ერთი კვირის წინათ დაგეგმა — დღეს, 29 აპრილს, თბილისში, თავისუფლების მოედანზე, საღამოს ექვს საათზე. როგორც გვაცნობეს, შეხვედრას დაესწრება ბიძინა ივანიშვილიც, „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე. „ოცნების“ წარმომადგენელთა ერთსულოვანი განცხადებით, მმართველი პარტიის და საქართველოს ხელისუფლების მიზანია, საქართველოს და, რაც მთავარია, მეგობარ ევროპას დაანახოს, რომ საქმე არ არის ისე, როგორც ამას კოლექტიური ნაცობა წარმოგვიდგენს.

საერთო-სახალხო შეკრება ხელისუფლების უმაღლესი ჩინების მონაწილეობით ნაკარნახევია უკიდურესი აუცილებლობით. რა თქმა უნდა, მიშისტ ოპოზიციონერთა, მაგრამ უმთავრესად, ჩვენი ევროპელ-ამერიკელი პარტნიორების დასანახად — საქართველო არ არის ის ბნელი ქვეყანა, როგორადაც მას „ტანჯული“ დედა-გიული, ან „ევროპელი“ სალომე სამადაშვილი წარმოადგენენ. ეს არის უძველესი და უდიდესი (ფრანგებსა და გერმანელებს, რომ „სიზმრადაც არ მოლანდებიათ“) ისტორიისა და კულტურის ქვეყანა. რომ ქართველი ხალხის (ხაზს ვუსვამ, ხალხისა და არა ქუჩაში სამარცხვინოდ უწმაწური პლაკატებით შეიარაღებული ბრბოდ ქცეული გოგო-ბიჭების) აზრი საინტერესო და ყურადსაღებია მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ქვეყნისთვის.

როგორ ჩაივლის და რა შედეგები მოჰყვება ამ შეხვედრას, რამდენიმე საათის შემდეგ ჩვენი თვალით ვიხილავთ. ახლა კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ერთი კვირით ადრე გაცხადებულმა (ალბათ, „დაანონსებული“ სჯობდა!) ამ აქციამ ნაცოპოზიციაში დიდი რყევები და შიშიანობა გამოიწვია. გასულ კვირაში ოპოზიცია სწორედ ამის გადასაფარად ავრცელებდა წარმოუდგენელ ჭორებსა და დამცინავ კომენტარებს აქციის მიზნებისა და უშუალოდ მისი მონაწილეების შესახებ. ვფიქრობ, ამჯერად აჯობებს თავი შევიკავო მათი ავტორების დასახელებისა და კომენტარების ციტირებისგან.

ᲘᲛᲔᲓᲘᲐ, ქართველი ხალხის სიბრძნისა და ხელისუფლების ძალისხმევის წყალობით, ყველაფერი კარგად ჩაივლის, მაგრამ სიფრთხილე მაინც საჭიროა: ოპოზიციისთვის უცხოეთიდან შავი ფულის მიღების იმედი თითქმის განულებულია; ქალბატონ ელენე ხოშტარიასთვის რუსეთიდან გამოგზავნილი „ჰონორარები“ მხოლოდ ხოშტარიას თუ ეყოფა; კეზერაშვილი და ხაზარაძე დიდი ხელგაშლილობით არ გამოირჩევიან (თანაც, ხაზარაძეს ავტომობილი აქვს შესაკეთებელი!). ასე რომ, ნაცოპოზიციას პროვოკაციების გარდა აღარაფერი დარჩენია.

კლასიკური ოპოპროვოკაციის კიდევ ერთი ნიმუში: გასულ კვირაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მაის-ივნისში გერმანიაში დაგეგმილ ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე ჯგუფიდან გასვლის შემთხვევაში (ამისთვის ალბათ, ერთი მოგება და ერთი ფრეც საკმარისი იქნება), „ქართუ ბანკი“ ჩვენს გუნდს 30, ხოლო შემდეგ ყოველი მოგებული მატჩისთვის ასევე 30-30 მილიონი ლარით დააჯილდოებს.

ახლა, ბოდიშის მოხდით, „ნაცგულშემატკივრების“ რამდენიმე კომენტარს გაგაცნობთ:

„ამათი აფერისტი დედა მოვტ...ან, მოიგონეს ახალი ტრიუკი აქციების მუხტის დასაგდებად. ყველას დედა აქ მოსატ...ნავი!“ „წავიდა მოსყიდვებიიიიიი...“ „ევროპაზე რომ გავიდნენ და უეფამ ათი მილიონი ჩაურიცხა ქართუ ფონდს, ის გადაირიცხება ეტყო	aa...“ „არჩევნებისთვის ამინდს იქმნიან. ამ შემთხვევაში ხახვი და კარტოფილი არ უშველის“...

გასულ კვირაში ინტენსიურად მიმდინარეობდა ნაცური შეკრებები საქართველოს რეგიონებში. როგორც ნაცხელადები დაგვპირდნენ, მომავალ არჩევნებში მათი გამარჯვება დროის ამბავია — მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მათი შეხედულებების გამზიარებელია... დაილოცოს სახარება — „ნეტარ არიან უმეცარნი, რამეთუ არა იციან“.

გასულ კვირაში ამოქმედდა საქართველოში უგრძესი, ცხრა კილომეტრიანი როკი-ქვეშეთის გვირაბი. გარდა იმისა, რომ რადიკალურად გაუმჯობესებს სატვირთო ავტომობილების მოძრაობას, ეს გახლავთ, მართალია, რუსეთის გავლით, მაგრამ მაინც უმოკლესი გზა ევროპისაკენ. იმედია, სულ რაღაც ოცი-ოდე წელიწადში მიშა „ვივამედიდან“ თავს დაიხსნის და უკვე არაჟნის ტრალერის საბარგულში დამალული კი არა, კაბინაში ამაყად გამოჭიმული, ხაბესა და ახალი ცოლების ამალით გარშემორტყმული ევროპაში სწორედ ამ გვირაბის გავლით შეგრიალდება.

ჩვენ კი ასევე გასულ კვირაში გახსნილი თბილისი-ბათუმის ავტობანზე ზესტაფონის შემოვლითი გზით უკვე დღესვე შეგვიძლია დავტკბეთ. მართალია, მშენებლები და პირადად პრემიერი ირაკლი კობახიძე ავტობანის ამ მონაკვეთის გახსნას ერთი თვის შემდეგ გვპირდებოდნენ, მაგრამ დაპირების ნაადრევად შესრულების გამო სასაყვედუროდ ენა არ მიბრუნდება. შემოვლითი გზის ეს მონაკვეთი მართლაც დიდებულია — გზის სიმოკლით, ხედებით, ხიდებით, გვირაბებით თუ ინფრასტრუქტურით. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ავტობანის მშენებლობის დასრულების შემდეგ თბილისიდან ბათუმამდე ავტომობილით მოგზაურობის დრო სამნახევარ საათამდე შემცირდება.

მინდოდა, ორიოდე სიტყვა მეთქვა გასულ კვირაში საფრანგეთის პრეზიდენტის ფრიად დამაფიქრებელ ანტიამერიკულ გამოსვლაზე. არა, ომი არაფერ შუაშია — ამერიკული, ანუ უცხოური გავლენისგან საფრანგეთის გათავისუფლებაზეა საუბარი. კარგი იქნება, „უცხოური გავლენის გაჭვირვალობის შესახებ“ კანონის მოწინააღმდეგეები საფრანგეთის პრეზიდენტის ამ გამოსვლასაც გაეცნობოდნენ, გამჭვირვალობის შესახებ ფრანგული და ქართული კანონების ვერსიებსაც და ქუჩებში გამოსვლისკენ ახალგაზრდებს მხოლოდ ამის შემდეგ მოუწოდებდნენ.

ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲥᲝᲠᲘᲫᲔ
29. 04. 2024.

„ვინც უნდა იყოს პრემიერ-მინისტრი, უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს გადარჩენაზე უპირველესი პასუხისმგებელი მაინც ბიძინა ივანიშვილია“!

პრო-„რუსულ“ კანონს!

ალბათ, გაიკვირვებს ჩემი მკითხველი — რატომ არა? ახლავე მოგახსენებთ, შესავლის გარეშე. იმიტომ, რომ ეს არ არის რუსული კანონი, არც ამერიკული, არც ჩინური და არც — სხვა! ერთ-ერთი მათგანი მაინც რომ იყოს, ნებისმიერზე ვიტყოდი: „კი“! ქართულ ვარიანტს პრეტენზია კი აქვს იყოს კანონი, მაგრამ ამდენს ვერ „ქაჩავს“. ძველად იტყოდნენ: **ეს კანონი კი არა, კანონის პროვოკაციაა!**

აბა, როგორ შეიძლება სრულყოფილ კანონად ჩაითვალოს ის კანონპროექტი, რომელიც კანონის დამრღვევს მთელი წელი ხელს ვერ ახლებს და, წლის ბოლოსაც მხოლოდ(!) ფულადი ჯარიმით სჯის, მაშინაც კი, საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ რომ ჰქონდეს უცხოეთიდან მიღებული მილიონები გახარჯული. ასეთი, არასამთავროებად წოდებული ორგანიზაციებისთვის (ასო-ებისთვის), უფრო ზუსტად კი, მათი დამფინანსებელი უცხოელი პატრონებისთვის 25-ათასიანი ჯარიმა იმ, უკვე გაწეულ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობასთან შედარებით, ირონიული ღიმილის მომგვრელი იქნება. მაგრამ, ამასაც კი გააფთრებით ეწინააღმდეგებიან, შიგნით — ნაცოპოზიცია და გარეთ — „მეგობარ-პარტნიორები“.

ამჟამინდელი კანონპროექტი კი, გარდა შინაარსობრივი ხარვეზებისა, სხვაგვარ ეჭვებსაც აღძრავს. სრულებით არ არის გამორიცხული, რომ მისი ხელახალი განხილვა ხელისუფლების დასამხობ-ასაყირავებლად დაფინანსებული ასო-ების დასარაზმავად, მათი პროვოცირების მიზნით „მოგვაფიქრებინეს“ გარედან. ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ ძნელი დასაჯერებელია შარშან მარტში შიშისაგან ფერწასული ხელისუფლებას წელსაც იგივე ნაბიჯის გადადგმა გაებედა. რამე შეიცვალა ამ ერთ წელიწადში პოლიტიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით? არც არაფერი! კანონი უდავოდ საჭიროა, მაგრამ ხელისუფლება ხომ არ შეცვლილა. აააა, ივანიშვილი გამოგვეცხადა მესამეჯერ(!) და, უფრო გულადები გავხდით? თუ, — უფრო შემსრულებელი!

„რა შემსრულებელი, რაებს მიედ-მოედები“, — შემომიტევს ზოგიერთი, — ვერ ხედავ როგორ ვაჟკაცურად უმკლავდებიან კობახიძე, მდინარაძე, პაპუაშვილი და სხვებიც ამერიკა-ევროკავშირის წარმომადგენლების მიერ კანონის მიღების საწინააღმდეგოდ აგორებულ კამპანიას, როგორ იგერიებენ მათ შემოტევა-მოწოდებებსო. და, ამაში მართალნი იქნებიან, მაგრამ... როდის აქეთაა, რომ პრემიერი (ან პარლამენტის თავმჯდომარე) თავისით წყვეტს რაიმე კანონის მიღება-არმიღებას, ვინმესთვის (მაგალითად, უკრაინისთვის) საპროტესტო ნოტის გაგზავნა-არგაგზავნას და კიდევ სხვა საკითხებსაც? თუკი, 10 წლის წინათ პრემიერი ღარიბაშვილი (მისივე აღიარებით) ყველაფერს, აქტიური პოლიტიკიდან ფორმალურად წასულ, სახლში მყოფ ივანიშვილს უთანხმებდა, ახლა, მობრუნების შემდეგ, პარტიის საპატიო თავმჯდომარის დანიშნული კობახიძე სხვაგვარად მოიქცევა? ამის თაობაზე გარკვევით გვითხრა ბ-მა ვალერი კვარაცხელიამ ჯერ კიდევ სამი თვის წინ: **„ვინც უნდა იყოს პრემიერ-მინისტრი, უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს გადარჩენაზე უპირველესი პასუხისმგებელი მაინც ბიძინა ივანიშვილია“!** მოგვწონს ეს თუ არა, ვერ შეედავები, უტყუარი ფაქტია!

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა, რომ ხელისუფლების მხრიდან ერთდროულად(!) და აბსოლუტურად მოულოდნელად(!) გენდერული კვოტების გაუქმების და ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის თაობაზე წამოწყებული აქტიური მსჯელობა, ხოლო „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის ხელახლა განხილვა პარლამენტში, ნიჭიერად დადგმული სპექტაკლი იყოს? უცხოური სცენარის მიხედვით, ცხადია! რა მოსაზრებით? მხოლოდ პრაგმატული მოსაზრებით. ამ თემების წამოწევას ნაცოპოზიციის მხრიდან უმწვავესი რეაგირება აუცილებლად რომ მოყვებოდა, ეს ყველასათვის წინასწარ იყო ცნობილი. სხვა მიზეზებით დასავლეთს ძალიან გაუჭირდებოდა პოლიტიკური ვითარების გამწვავება საქართველოში, ეს კი წაუგებელი გათვლა იყო!

საქართველოს ხელისუფლებას კი ნაცოპოზიციის პერმანენტული საპროტესტო აქციები, თანაც, დასავლეთის მხარდაჭერილი, წინასაარჩევნოდ ნამდვილად არაფერში არ წაადგებოდა. **ამიტომაც, „ოცნების“ მიერ ამ თემების უეცარი წამოჭრა გარედან ზეწოლით, იძულებით უფრო ადვილად აიხსნება, ვიდრე საიდანღაც უცებ გაჩენილი, აქამდე არნახული გაბედულებით. ინიციატივა „ქართული ოცნებისა“ რომ იყოს და, მას მართლაც სურდეს ამ კანონების მიღება, მაშინ იბი „ალტ-ინფოს“ პარტიას კი არ გააუქმებდა, არამედ, პირიქით, — კონ-**

სერვატულ ძალებს გააკლიერებდა.

განა გამორიცხულია, რომ ყველაფერი ჩვენ მორიგ გასაბითურებლად კეთდებოდეს. ან, იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ დასავლეთი ასეთ რამეს არ იკადრებს? მე თქვენ გეტყვით და, არ უკადრია აქამდე, თუ — რა! ამ „მეგობარ-პარტნიორებმა“ იმდენჯერ და ისე დამაჯერებლად დაგვიდგეს ნაირ-ნაირი სატყუარა სცენარი, იმდენჯერ და ისე ოსტატურად გაგვაცურეს, რომ თუ, გასულ 25 წელიწადს (სულ ცოტა) გადავავლებთ თვალს, — ამ პერიოდში დადგმულ „დემოკრატიულ არჩევნებად“ წოდებულ „სპექტაკლებს“, სცენარ-რეჟისურასაც და მთავარ როლებში დაკავებულებსაც, „დავინახავთ, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის ვერავინ ვერ ხვდებოდა ჩვენი მთავარი „პარტნიორის“ ჭეშმარიტ ჩანაფიქრს. მაგალითისთვის, მხოლოდ ერთ პატარა მონაკვეთზე შევჩერდები. აბა, გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ: ხვდებოდა ვინმე 2012 წელს იმას, რაც დღეს ეჭვს არ იწვევს, — რომ ივანიშვილი თავისი ნებით კი არ შემოვიდა პოლიტიკაში, არამედ იგი აიძულეს შემოსულიყო, რომ ბ-ნი ბიძინას მოსვლაც და ერთ წელიწადში წასვლაც (ოღონდ, — „რუხ კარდინალად“!), ნაცებთან კოჰაბიტაცია, შემცვლელებად უსუფაშვილ-ალასანიას პარტიების დატოვება და, რაც მთავარია, სამართლის არ აღდგენა, 100%-იანი დამნაშავე ნაცმოძრაობის და მისი მთავარი ლიდერების არგასამართლება (მხოლოდ რამდენიმეს დასჯა, ისიც სიმბოლური ვადით) და კიდევ ბევრი სხვა მოვლენის (მანამდე და მომდევნო 12 წელიწადშიც მომხდარის) სცენარი წინასწარ იყო დაწერილი ოკეანს გაღმა?! თუ უახლეს მწარე წარსულს არ გავაცნობიერებთ, არ გავაანალიზებთ და, თუ ივანიშვილის მესამედ მობრუნებას მაინც ისეთივე იმედის თვალით შევეგებებით, როგორც წინა ორ მოსვლაზე, მაშინ გადავჩვეულვართ მარტივ ლოგიკურ აზროვნებას ან სრული ამნეზია დაგვმართია და ისაა! როდესაც 2012 წელს მოცემულ მთავარ წინასაარჩევნო დაპირებას — სამართლიანობის აღდგენას კი არა, დავით აღმაშენებლის ძეგლის ადგილზე წამოსკუპებული მახინჯი ველოსიპედის(!) აღებას (ასევე დაპირებულის!) ვერ ბედავს ივანიშვილი 12 წლის განმავლობაში, მართლა უკიდურესად გულუბრყვილო (ეს ძალიან რბილად რომ ვთქვა!) უნდა იყო, რომ მისი ახალი დაპირებები (პოლიტიკური, ცხადია, და არა — საქველმოქმედო) დაიჯერო.

კარგად მესმის და ვხედავ კიდეც დასავლეთის არნახულ ზეწოლას ხელისუფლებაზე, შანტაჟსა და მუქარასაც, მაგრამ მოდით, ყველაფერს ზეწოლას ნუ დავაბრალებთ, რადგანაც, როდესაც უდრტვინველად ეგუები „ქვეწოლას“ ათეული წლების მანძილზე, გამოდის, რომ შენც სიამოვნებას იღებ ამ პოზაში ყოფნით (მატერიალურს ან კარიერულს), ან შიში გამუნჯებს და გიბორკავს ხელ-ფეხს! **„იყო შიშის მონა კი — ყველაზე უარესი მონობაა“** (ჯოშ ბილინგსი, XIX საუკუნის ამერიკელი მწერალი). ამიტომ, ის მაინც უნდა გაბედოთ (ყველამ ხელისუფლებაში, ერთობლივად, ვისაც საქართველოს მომავალი განაღვლებთ!), რომ ალტერნატიული კონსერვატული ძალები არ დაბლოკოთ და, თუ ვერ ეხმარებით, ხელი მაინც არ შეუშალოთ. ხოლო, თუკი სპექტაკლში არ მონაწილეობთ და მართლა აპირებთ დაუმორჩილებლობას, მაშინ „ჩიტი უნდა ღირდეს ბდღვნად“, ანუ გაცილებით ეფექტური კანონი უნდა შესთავაზოთ ხალხს და, რაც მთავარია, ამ ბრძოლაში სწორედ კონსერვატული ძალების იმედი უნდა გქონდეთ. ეს ხომ აქსიომაა!

მოსახლეობის უმეტესობას გააზრებული რომ ჰქონდეს დასავლეთის მზაკვრული ხრიკები, მაშინ რა გვიჭირდა. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ჩვენგანი, დღესაც, უკაცრავად და, „ტყემალზე“ ზის! ამას თავისი ახსნაც აქვს, მაგრამ მთავარი საწუხარი ის არის, რომ ეს „ხეზე ჯდომა“ მოსახლეობის ყველაზე აქტიურ ნაწილს, ჩვენ მომავალს — ახალგაზრდობის ძალიან დიდ ნაწილს ეხება! ამიტომაც უადვილდება დასავლეთს ჩვენი (და არა მარტო) მრავალჯერადი გაბითურება!

ვინც ხვდება და ხალხის გამოფხიზლებას ცდილობს, ვინც არა მარტო ნაცების, არამედ ქოცების მიერ გატარებულ საზიანო პოლიტიკასაც ამხელს და, რაც უმნიშვნელოვანესია, სტაგნაციიდან გამოსვლის რეალურ გზებსაც გვისახავს, ასეთ მცოდნე და ღირსეულ ადამიანებს, ასეთ მოძრაობა-პარტიებს (ძირითადად, კონსერვატული მიმართულების) შეზღუდული აქვთ სატელევიზიო არხებით სარგებლობის შესაძლებლობა, მთავრობის მომხრე არხებითაც კი!

როგორ გინდათ გაანეიტრალოთ ის ინფორმაციული შემოტევა, რომელიც მოსყიდული და გალიბერასტებული ფსევდოინტელიგენციისგან მომდინარეობს? ამასწინათ მმართველი გუნდისადმი გავრცელებულ ერთ მიმართვას გავეცანი, რომელსაც უმაღლესი სასაწავლებლების აკადემიური პერსონალი, ასამდე(!) ადამიანი აწერს ხელს (თან გვამცნობდნენ — ხელმომწერთა სია გრძელდებაო). სხვადასხვა ხასიათის მიმართვები ბევრი მინახავს, მაგრამ მსგავსი — არაფერი! აი, ეს მიმართვაც: **„მოგმართავთ მმართველ გუნდს, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაიწვიოთ ეს სრულიად დამღუპველი და ქართველი ერის შეურაცხმყოფელი ე.წ. „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის შესახებ“ კანონი, რომელიც ანგრევს საქართველოს დემოკრატიას და მის ევროპულ მომავალს“.** სხვა ტექსტი მიმართვას არ ახლავს.

ამის წამკითხავი სახტად დავრჩი! ეს ერთადერთი წინადადება ჩვენი კაპასი პარლამენტარი ქალების დაწერილი რომ ყოფილიყო, დიდად არც გამიკვირდებოდა, მაგრამ იმას როგორ წარმოვიდგენდი, რომ საქართველოში ასი პროფესორ-მასწავლებელი მოიძებნებოდა, რომელიც ასეთ აბსურდს მოაწერდა ხელს!

აბა, როგორ შეიძლება საჯაროდ ამდენი უსერიოზულესი ბრალდება წაუყენო მმართველ ძალას, რომელიც ამ კანონით (ჯერ კიდევ მეორე-მესამე მოსმენებით მისაღები), თურმე, **„ლუბავს და შეურაცხყოფს ქართველ ერს, ანგრევს დემოკრატიას და საქართველოს ევროპულ მომავალს“,** და ერთი, მხოლოდ ერთი(!) არგუმენტიც კი არ მოიყვანო შენი სიტყვების გასამაგრებლად! შუბლის ძარღვგაწყვეტილი ცილისმწამებელი ადამიანი თუ იკადრებს ასეთი დაუსაბუთებელი ბრალდების წაყენებას.

გაკვირვებას იწვევს ზემოხსენებულ კანონთან დაკავშირებით გამართულ საპროტესტო აქციებში მონაწილე ახალგაზრდების — სტუდენტების და მოსწავლეების აშკარა სიჭარბე, ვინაიდან ცოდნას მოწყურებული გოგო-ბიჭების პირველი დამახასიათებელი თვისება უნდა იყოს მათ თავში გაჩენილ კითხვებზე: ვინ, სად, როდის, რატომ, როგორ და ა.შ. პასუხის ძიება, პირველ რიგში, — პედაგოგ-ლექტორებთან. მათ რომ ადეკვატური, პოლიტიკურად და სამართლებრივად გამართული პასუხები მიეღოთ ან თავად მოეძიებიათ სათანადო ინფორმაცია ინტერნეტში, მაშინ უმეტესობა მაინც მოტვინავდა, რომ ეს კანონი არც რუსულია და არც საქართველოს დამღუპველი, მით უფრო, არც შეურაცხმყოფელი და დემოკრატიის დამანგრეველი!

საქართველოს დამღუპველია არა „გამჭვირვალობის“ კანონი, არამედ სწორედ მიმართვის ხელმომწერი ის ადამიანები, რომლებიც სააკაშვილის მავნებლური საგანმანათლებლო პოლიტიკის წყალობით წინამორბედების — ჭეშმარიტი პროფესორების („ჩარეცხილების“) ადგილებს დაეპატრონენ და, რომლებსაც, ჩვენდა საუბედუროდ, მინდობილი აქვთ მომავალი თაობის აღზრდა-განათლება! და, პატრონი არ ჩანს ასეთი „პედაგოგების“ გამცხრილავი!

ამერიკის ელჩი საბჭოთა კავშირში (მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში) წერდა: რომ **არა 30-იან წლებში ჩატარებული წმენდა, სტალინი ომს ვერ მოიგებდაო. ასევე შეიძლება ითქვას ამჟამინდელ რუსეთზეც: პუტინს რომ 2017 წელს „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონი არ მიეღო, 2022 წელს უკრაინასთან წამოწყებულ ომში იგი აუცილებლად დამარცხდებოდა, ოღონდ არა ბრძოლის ველზე, არამედ ნავალნის და მისთანების მიერ მოსკოვში მოწყობილი, შიგნიდან აფეთქების შედეგად, კიევის მაიდნის ანალოგიურად (რისი გათვლაც ჰქონდა დასავლეთს). ასევე, დროულად მიიღო ზომები ლუკაშენკომაც ბელარუსში და მას, რუსეთიც მხარში ედგა!**

თბილისის რიგმაც მოაწია დასავლეთის განრიგში, საფრთხე კარსაა მომდგარი და მის ასაცილებლად მხოლოდ ლუსტრაცია, მხილება აბსოლუტურად არასაკმარისია, აუცილებელია(!) პრევენციული ზომების გატარება, რაც სრულყოფილი კანონის მიღების გარეშე ვერ მოხერხდება. ჩვენ არ გვყავს არც სტალინი, არც პუტინი და არც ლუკაშენკო! და, მხარშიც, საუბედუროდ, არავინ გვიდგას, პირიქით, ყველა მეზობელი ხელსაყრელ მომენტს ელოდება!

ერთი სიტყვით, — ნეტამც ვცდებოდე და ხელისუფლება მხოლოდ ერთ, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს მაინც მიიღებდეს (თუნდაც, არსებული, არასრულყოფილი სახით), ახლო მომავალში მას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სხვა კანონებსაც მიაყოლებდეს (უამრავი კანონია მისაღები!) და, რაც უმთავრესად მიმაჩნია, რუსეთთანაც უმაღლეს დონეზე დაიწყებდეს მოლაპარაკებებს ურთიერთობის ნორმალიზების და საქართველოს გამთლიანების საკითხებზე. აი, მაშინ ვაღიარებ, რომ ჩემი ნააზრევი ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი ყოფილა და საჯაროდ ბოდიშსაც მოვუხდი პირადად ბ-ნ ივანიშვილს! მაგრამ, ყველაფერ ამას რკინის ხელი სჭირდება — კანონდამრღვევების და არეულობისკენ მომწოდებლების დროული ალაგმვა-იზოლირება, მაგრამ, ამის ნიშნებსაც კი ვერ ვხედავ! პირიქით, ჩვენდა საუბედუროდ, სრულიად საპირისპიროს ვხედავ — საჯაროდ ორმაგი მძიმე დანაშაულის ჩამდენი დეპუტატ ელისაშვილისთვის არავის მოუთხოვია პასუხი — არც პარლამენტში ჩადენილი არაკაცური ფიზიკური ძალადობისთვის და არც ქუჩის აქციების მონაწილეებთან ერთად პარლამენტში ძალადობრივი შეჭრის მცდელობისთვის და მოწოდებებისთვის!

და, თუკი, ხელისუფლება ჩვენი თვალის ასახვევად აკეთებს ყველაფერს, „ზეწოლით თუ ქვეწოლით“, ამას უკვე მნიშვნელობა აღარ ექნება, რადგანაც ყველაფერს საზღვარი აქვს, მათ შორის, მომთმენი ქართველი ხალხის უსასრულო ლოდინსაც!



„მოგმართავთ მმართველ გუნდს, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაიწვიოთ ეს სრულიად დამღუპველი და ქართველი ერის შეურაცხმყოფელი ე.წ. „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის შესახებ“ კანონი, რომელიც ანგრევს საქართველოს დემოკრატიას და მის ევროპულ მომავალს“.

იაკობ ლეჟავა
25 აპრილი, 2024

◎ ტრიუმფი

პპრიზისკენ — იმედით!



მართალია, შარშანდელი ევროპის ჩემპიონატი 4 ვერცხლით დავასრულეთ, მაგრამ ქართული ძიუდოს სასახელო ტრადიციების გათვალისწინებით ბევრისთვის საოცნებო ასეთმა შედეგმა უკმარისობის გრძნობა დაგვიტოვა და ზოგისგან წარუმატებლობადაც კი შეფასდა.

ხომ გსმენიათ – შეცდომებზე სწავლობენო. ჰოდა, ჯვაროსანთა სამწვრთნელო შტაბმა ზემოთ უკვე ნახსენები გაკვეთილიდან სათანადო დასკვნები გამოიტანა და ხორვატეთის დედაქალაქ ზაგრების ტატამზე გამართულ მორიგ კონტინენტურ ფორუმზე მოხვეჭილი ერთბაშად 7 მედლით, რაც დამოუკიდებლობის პერიოდში რაოდენობით სარეკორდოა, საერთო ჩათვლაშიც ყველას აჯობა.

ტურნირის საწყის ორ დღეში **ლაშა გუჯეჯიანს** შეგირდებმა მსგავსი გრაფიკით იჭიდავეს და თითო ოქრო და ბრინჯაო მოიპოვეს.

პარტნიორები ოქროს სტიმულით **ვაჟა მარგველაშვილმა** (66 კგ) დამუხტა, რომელიც საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე 8-წლიანი პაუზის შემდეგ ავიდა, ხოლო **ეთერ ლიპარტელიანმა** (57 კგ) ზედიზედ მეორედ დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ერთი ამოსუნთქვით გამოჭედა უკანასკნელი 4 სეზონის განმავლობაში მე-3 ტრიუმფი 81 კგ წონით კატეგორიაში სტაბილურობის განსახიერებამ – **ტაბო გრიგალაშვილმა,** ყველა უმაღლესი ტიტულის მფლობელმა **ლაშა შავდათუაშვილმა** კი ამჯერად მცირეოდენ გაგვაწბილა და მხოლოდ ბრინჯაოს შესწდა 73 კგ წონით კატეგორიაში.

პირადი ასპარეზობის დასკვნითი რაუნდი ისე დაიწყო, საფუძვლიანი ამბიცია გაგვიჩნდა, რომ უკვე ნახსენებ გრაფიკს უკეთესობისკენ შევცვლიდით და აქამდე არნახულ 4-ოქროიან მიღწევას დავიმსახურებდით, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

უსიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა ლუკა მაისურაძის დისკვალიფიკაციის შემდეგ 90 კილოში უკონკურენტოდ დარჩენილმა **ლაშა გექაურმა,** რომელიც მეოთხედფინალში 21 წლის მომავალ აზერბაიჯანელ გვირგვინოსან ჰაჯიევთან დამარცხდა, თუმცა რეპეშაჟის დაძლევას მეორე კასპიის-პირელთან ფატიევთან გამარჯვება დაუმატა და ჩვენი გუნდისთვის მოტანილი მესამე ბრინჯაოთი ხასიათი ოდნავ გამოგვიკეთა. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ გერმანელ მწვრთნელთა მიწვევით ჩვენი მეზობლები კიდევ უფრო მოძლიერდნენ და ბალკანეთში, ჩვენი არ იყოს, ორი ოქრო ხვდათ წილად (ჰეიდაროვი). ასევე დაატყო თავისი ხელი ასევე მეზობელ თურქებს საქართველოს ნაკრების ყოფილმა თავკაცმა **ირაკლი უბნაძემ,** რაც რამდენიმე ჯილდოში გამოიხატა, მათ შორის ალბაირაქის გვარით მოასპარეზე შარშანდელ ჩემპიონ **ვანო რევაზიშვილის** ბრინჯაოთი. თუმცა ისევ ჯვაროსნებს დავუბრუნდეთ.

ჯერ იყო და უდროშოდ და უჰიმნოდ მოჭიდავე ჩრდილოელთან კალინკოვსკისთან დათმო ფინალი 100 კგ წონითი კატეგორიის რეიტინგის ლიდერმა **ილია სულამანიძემ,** ხოლო მერე ასევე ვერცხლის წერტილი დასვა მძიმეწონისანმა **გურამ თუშიშვილმა,** რომელიც საკუთარ ფანდზე წამოეგო მისთვის უხერხულ ცხინვალელ „რუსთან“ თასოევთან. დავძენთ, რომ 60 კილოში მონაწილე არ გვყავდა.

ასეა თუ ისე, მაისის ბოლოს მუნდიალია, ზაფხულში კი ოლიმპიურ პარიზს ფავორიტის სტატუსით ვეწვევით.

* * *

გუშინ საქართველოს შერეულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი კიდევ ერთი ვერცხლით დასრულდა.

იტალიასთან და ხორვატებთან გამარჯვების შემდეგ ჯვაროსნებმა ფინალური შეხვედრა ფრანგებთან დათმეს და გუნდური ტურნირის ვიცე-ჩემპიონები გახდნენ.

◎ რინგზე

ველით ოქროებს

სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი, სადაც ორი ქართველი მოკრივე ფინალშია.

67 კგ წონით კატეგორიაში ოქროს მედლისთვის ლაშა გურული იბრძოლებს, რომელმაც ნახევარფინალში მასპინძელი ვაჰიდ აბასოვი დაამარცხა, ხოლო 71 კგ წონით კატეგორიაში ესკერხან მადიევმა თურქ ერდემირ ტუგრულჰანს სძლია და ისიც ფინალში გავიდა.

შესაბამისად, ორივეს, როგორც მინიმუმ, ვერცხლის მედალი უკვე განაღდებული აქვს.

◎ ოვალური ბურთი

უკეთ, ვიდრე შარშან

უმცროსი გორჯღალოსნები მესამე კვირაა მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატისთვის დასკვნით მოსამზადებელ ეტაპს გადიან. ლადო კილასონიას გაფართოებულ შემადგენლობაში 60-მდე მოთამაშეა, საიდანაც სამხრეთ აფრიკაში 30 გაემგზავრება.

ჩემპიონატს სამხრეთ აფრიკა 29 ივნისიდან 19 ივლისის ჩათვლით უმასპინძლებს და საქართველო B ჯგუფში ირლანდიასთან, ავსტრალიასთან და იტალიასთან ითამაშებს, რის შემდეგაც გაირკვევა, თუ რომელი ადგილისთვის გააგრძელებენ ბრძოლას უმცროსი გორჯღალოსნები.

შეგახსენებთ, რომ შარშან ჩვენს გუნდს თასის ნახევარფინალამდე სულ ცოტა დააკლდა და საბოლოოდ სარეკორდო, მე-8 ადგილი დაიკავა.

გუნდის მზადების შესახებ **ლადო კილასონია** ამბობს:

„ჩვენი გეგმები წინა წლის მოსამზადებელი ეტაპისგან დიდად არ განსხვავდება. ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა ფიტნეს-მომზადებას, რა თქმა უნდა, სათამაშო ელემენტების ნაზავით.

სამხრეთ აფრიკაში პირველი თამაში ირლანდიასთან გვაქვს, რომელიც საოცარ ფორმაშია; მეორე შეხვედრა ავსტრალიასთან, რომლის თამაშის ვიდეოები სულ მალე გვექნება, თუმცა რაც აქამდე გავიგეთ, საკმაოდ კარგი გუნდია. ჯგუფურ ეტაპს იტალიასთან ვასრულებთ, რომელსაც შარშანდელი ჩემპიონატიდან ძალიან დიდი რაოდენობით მოთამაშეები გადმოყვა, გამოცდილება კი მნიშვნელოვანია.

ჩვენც გვყავს 10 ასეთი მოთამაშე, თუმცა მათგან ერთი – გელა ხელაძე ტრავმირებულია და ჯერ არ ვიცით ითამაშებს თუ ვერა. მას ჯვარედინი მყესები გაუწყდა, ეს კი სერიოზული ტრავმაა. ძალიან დიდი სამუშაო ჩაატარა რომან სახოკიამ. ახლახანს შემოგვიერთდა ირაკლი ჭყონია და ისინი მაქსიმუმს აკეთებენ, რათა რეაბილიტაციის პროცესი კარგად წავიდეს. გელა უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს, მაგრამ არა სრული დატვირთვით. გვაქვს მეორე ტრავმაც – ფეხი მოიტეხა მგეზავმა ლუკა ჭინჭარაულმა.

შარშანდელ მსოფლიოზე ნათამაშები დანარჩენი 9 მორაგბიდან უმეტესობა ლეგიონერია, ლუკა ცირეკიძე კი „შავ ლომთან“ ერთადაა და ამ ეტაპზე ჩვენთან ვერ ვარჯიშობს.

მთლიანობაში, ბიჭები ბევრს მუშაობენ და ყოველ დღე იგრძნობა სურვილი, გავხდეთ უკეთესები, რაც ძალიან სასიამოვნოა. ვფიქრობ, მზადება ძალიან კარგად მიდის, დანარჩენს კი თამაშები გვაჩვენებს. ბევრი რამ იქნება იმ მოთამაშეთა კონდიციებზე დამოკიდებული, რომელთაც ჩემპიონატი ჯერ არ დაუსრულებიათ. ისიც აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ჩემპიონატამდე ჩვენ სულ 3 თამაში გვექნება ჩატარებული, ირლანდიას კი 10. საინტერესო წელი გველოდება.

მისამზადებელი ეტაპის ფარგლებში, მაისსა და ივნისში საქართველოს მსოფლიო რაგბის ორი გრანდი ეწევა – საფრანგეთი და ინგლისი. საფრანგეთს 4 მაისს ვეთამაშებით, ინგლისს კი 7 და 12 ივნისს. აღსანიშნავია, რომ თბილისში ორივე გუნდი უძლიერესი შემადგენლობით ჩამოდის. შეხვედრები „ავჭალაზე“ გაიმართება.

საფრანგეთი მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის მოქმედი გამარჯვებული და ზედიზედ სამგზის ჩემპიონია (2018, 2019, 2023). 20-წლამდელთა ჩემპიონატი 3-ჯერ აქვს მოგებული (2013, 2014, 2016) ინგლისსაც.

შარშან საფრანგეთმა თავის სანაკრებო ბაზა მარკუსზე ბრწყინვალედ გვიმასპინძლა. სამწუხაროდ, შარშანდელის მსგავსად, ტიერ 1-ის გუნდებისგან განსხვავებით, ეს იქნება ჩვენი პირველი საერთაშორისო თამაში. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს მოთამაშეებს მივცეთ გამოცდილება და ვნახოთ, ვინ როგორ გამოიჩენს თავს ტიერ 1-ის გუნდებთან. იგივეს ვიტყვი ინგლისთან ორ თამაშზეც. ეს იქნება ერთგვარი ექსპერიმენტი მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრებამდე.

ინგლისთან შარშანდელმა თამაშებმა (35:41, 40:38) მოგვცა საკუთარი თავის რწმენა, რწმენა იმისა, რომ რასაც ვაკეთებთ, მნიშვნელოვანია და კარგად გამოგვდის. წელს ინგლისის 20-წლამდელთა ნაკრებმა ექვსი ერი მოიგო და ჩვენს ერთ-ერთ მეტოქე ირლანდიას ერთი ქულით აჯობა. დიდი იმედი მაქვს, რომ ინგლისელები შარშანდელი შედეგის გამოსასწორებლად ჩამოვლენ და ეს ჩვენთვის ძალიან მაგარი გამოცდილება იქნება.

კარგია, რომ თბილისში, საკუთარი გულშემატკივრის წინაშე ვთამაშობთ. ამას ვერაფერი გადაწონის. ყველას კარგად გვახსოვს ინგლისთან შარშანდელ თამაშებზე რა მაგარი ატმოსფერო იყო და იგივეს მოლოდინი გვაქვს წელსაც, როგორც ინგლისთან ივნისში, ასევე საფრანგეთთან მაისის დასაწყისში“ – აღნიშნა კილასონიამ.

საქართველოში ზედიზედ მეორე ვიზიტით კმაყოფილია ინგლისის მთავარი მწვრთნელი **მარკ მეილეთოფთი:**

„საქართველოში ვიზიტისას რთული კვირა გველოდება. ეს იქნება ძალიან დიდი გამოცდილება ჩვენი მოთამაშეებისთვის. აღრეულ ასაკში საზღვარგარეთ ვიზიტები ძალიან მნიშვნელოვანია მოთამაშეთა ზრდისთვის და დიდი მადლობა მასპინძლებს მოწვევისთვის.

შარშანდელი ტესტები ფანტასტიკური გამოცდილება იყო ჩვენი მოთამაშეებისათვის და თანაბარი შედეგები ამის დასტურია. ორივე გუნდმა, ორივე ბრძოლაში, უმაღლესი დონის თამაშები აჩვენა. მოუთმენლად ველით ამა წლის ივნისში ასეთივე ინტენსივობის შეხვედრებს“.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ნიკა მოდებაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ნიკა მოდებაძე (პ/ნ 45001025292), ყვარელი, ს. ჭიკაანი, მე-11 ქ. №38

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ყვარელი, ს. ჭიკაანი (საკადასტრო კოდი: 57.03.53.000.314)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 19409.26 ლარი.

3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2024 წლის 29 აპრილი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 14 მაისი, 14:00 საათი.

5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP98169224;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 981692

6. მოვალე: ნიკა მოდებაძე (პ/ნ 45001025292), ყვარელი, ს. ჭიკაანი, მე-11 ქ. №38.

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

● აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

● მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

● აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

● აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP98169224; ლოტის ნომერი: 981692).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 14 მაისის 12:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[ᲨᲘ]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ალექსანდრე გაჩეჩილაძის, თამილა მაჭავარიანის და შოთა გაჩეჩილაძის თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის თანამესაკუთრეები: ალექსანდრე გაჩეჩილაძე (პ/ნ 18001071207), თამილა მაჭავარიანი (პ/ნ 18001052261), შოთა გაჩეჩილაძე (პ/ნ 18001070805), ზესტაფონი, ს. დილიკაური, 27-ე ქუჩა №5

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ზესტაფონი, სოფელი დილიკაური (საკადასტრო კოდი: 32.08.42.293).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 2500 ლარი.

3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2024 წლის 29 აპრილი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 14 მაისი, 14:00 საათი.

5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP98169424;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 981694

6. მოვალე: არტურ ხურციძე (პ/ნ 17001003244), ვანი, ს. გორა.

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), **მისამართი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

● აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

● მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

● აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი - ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP98169424; ლოტის ნომერი: 981694).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 14 მაისის 12:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს დავით ზუროშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: დავით ზუროშვილი (პ/ნ 08001009859), ახმეტა, ს. ოჟიო

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ახმეტა, სოფელი კოღოთო (საკადასტრო კოდი: 50.12.39.104)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 17431.72 ლარი.

3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2024 წლის 29 აპრილი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 14 მაისი, 14:00 საათი.

5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP98169324;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 981693

6. მოვალე: დავით ზუროშვილი (პ/ნ 08001009859), ახმეტა, ს. ოჟიო;
ეკატერინე გახუტიშვილი (პ/ნ 08001029238), ახმეტა, ს. ოჟიო.

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

● აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

● მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

● აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი - ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

● აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP98169324; ლოტის ნომერი: 981693).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 14 მაისის 12:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[ᲨᲘ]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს რამილ გურბანოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: რამილ გურბანოვი (პ/ნ 28001000066), მარნეული, ს. ყიზილაჯლო, მოდი ნახეს ქ. №69

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
მარნეული, ს. ყიზილაჯლო, მოდი ნახეს ქ. №69 (საკადასტრო კოდი: 83.01.14.169).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 6000 ლარი.

3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2024 წლის 29 აპრილი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 14 მაისი, 14:30 საათი.

5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP98169524;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 981695

6. მოვალე: რამილ გურბანოვი (პ/ნ 28001000066), მარნეული, ს. ყიზილაჯლო, მოდი ნახეს ქ. №69;
ფინარა ალიევა (პ/ნ 28001017196), მარნეული, ს. ყიზილაჯლო, ჰიდრის ზეინალოვის ქ. №87

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

● აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

● მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

● აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი - ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

● აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP98169524; ლოტის ნომერი: 981695).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 14 მაისის 12:00 საათამდე.

გუჯა ბენდელიანი – ჭეშმარიტი მამულიშვილი

სასურველია, ელგუჯა (გუჯა) ბენდელიანის უკვდავსაყოფად დაარსებული ფოტომუზეუმი სამუდამოდ დარჩეს მშობლიური მხარის – ლეჩხუმის ერთ-ერთ კულტურის ცენტრად!



ძალზე რთულია სანუგეშო სიტყვების მოძებნა იმ მძიმე მწუხარების გადმოსაცემად, რომელიც ეხება ცხოვრებიდან უდროოდ წასულ, ცაგერის კერძო ფოტოგამოფენა-მუზეუმის დამაარსებელს, სტუმართმოყვარეობითა და პატრიოტული სულისკვეთებით გამორჩეულ პიროვნებას, გატონ ელგუჯა (გუჯა) ბენდელიანს.

მისი გარდაცვალებიდან 40 დღე გავიდა და ნათელი სული ზეციურ საქართველოს შეუერთდა.

გუჯა ბენდელიანი დაიბადა 1949 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ლუხვანოში მრავალშვილიან ოჯახში.

ადრეული ასაკიდანვე ჩაება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. საშუალო სკოლა სოფ. ლუხვანოში დაამთავრა. 1965 წელს ჩაირიცხა ქუთაისის სატყეო ტექნიკუმის საავტომობილო გზების მშენებლობისა და ექსპლოატაციის ფაკულტეტზე. ტექნიკუმის წარმატებით დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო რაიონის N10 საგზაო-სამშენებლო სამმართველოში. 1969 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. სამხედროდან დაბრუნების შემდეგ მუშაობა დაიწყო ცაგერის „საქკოლმშენის“ საბჭოს ტექნიკურ განყოფილებაში.

1977 წელს გადაიყვანეს N20-ე საგზაო-საექსპლუატაციო უბნის საქმის მწარმოებლად. ერთი წლის შემდეგ ის გახდა ამ ორგანიზაციის უფროსი. 1987-1991 წლამდე მუშაობდა სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

გუჯა ბენდელიანმა თავისი მკაფიო და განუმეორებელი კვალი დატოვა ყველა იმ ასპარეზზე, სადაც კი მას მოუხდა ყოფნა თავისი არცთუ ისე ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე. იგი თავისი პროფესიული საქმიანობის ადრეული პერიოდიდანვე ყალიბდება საგზაო სფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის სპეციალისტად.

გუჯა ბენდელიანი ინარჩუნებს რა მაღალ პროფესიულ და ადამიანურ ღირსებებს, მალე პოულობს თავის ახალ მოწოდებას. ლეჩხუმელთა მეხსიერებაში გუჯას სახელთან დაკავშირებულია მის მიერ შექმნილი „ლეჩხუმელების“ ისტორიული სახეების მუზეუმი“.

უაღრესად გამორჩეულია მისი დამოკიდებულება და სიყვარული ლეჩხუმისა და ლეჩხუმელებისადმი.

მან საკუთარ სახლში განათავსა სამუზეუმო ექსპონატები, რომელსაც 10 წელზე მეტხანს აგროვებდა.

ძალზე რთულია რამდენიმე სიტყვით აღვწეროთ მუზეუმის მდიდარი ექსპოზიცია. იგი პირადად უნდა დაათვალიერო და გაეცნო იმ სახელოვან ადამიანთა ფოტოსურათებს, რომელიც გამოფენილია მუზეუმის სტენდებზე.

მუზეუმის დიდ ღირსებად ითვლება იმ ადამიანების არა მხოლოდ ფოტოსურათები, არამედ მათზე გაკეთებული ავტოგრაფები, პირადი ჩანაწერები, სამუზეუმო საჩუქრები და მხატვრული სურათები.

როცა ვეკითხებოდით, ბატონო გუჯა, როგორ მოახერხეთ ამდენ პიროვნებაზე ზღვა ინფორმაციის მოგროვება-თქო, იგი გაღიმებული გვპასუხობდა; ამ საქმეში შესანატრი დახმარება გამიწიეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმაო. მათი პირადი ინფორმაციებით ვინყებდი მასალების შეგროვებასო, ვიმახსოვრებდი თითოეული მათგანის მონაყოლს, მერე ვამონმებდი და ხორცს ვასხამდი საინტერესო მონათხრობსო!

დღეს მისი მუზეუმი ძალიან პოპულარული კულტურული ობიექტია. მას უამრავი მნახველი ჰყავს. ჩამოსული სტუმრები თუ ადგილობრივი ახალგაზრდა თაობა დიდი ინტერესით ეცნობა ღირსეული ლეჩხუმლების ბიოგრაფიებს და ამაყობენ მათი სამაგალითო მოღვაწეობით.

დიდ ყურადღებას იმსახურებს ერთ-ერთ საგამოფენო სტენდზე განთავსებული ისტორიული ხასიათის ინფორმაცია, სადაც საუბარია რუსეთის მეფისდროინდელ მოვლენებზე. როგორც ირკვევა, იმ დროს ლეჩხუმის რაიონული ცენტრი განთავსებული ყოფილა ორბელის მთის გადაღმა მდებარე სოფელ ლაილაშში. რაიონის გადმოღმა სოფლის მცხოვრებლებს უგზოობის პირობებში ძალიან უჭირდათ მაღალი მთის უღელტეხილის გადავლა და რაიონის ხელმძღვანელობასთან დაკავშირება. განსაკუთრებით ეს შეუძლებელი ხდებოდა ზამთარში, თოვლიანობის პირობებში.

ამ პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, რაიონის გამოჩენილი, თავადები ტარასი ახვლედიანი და იასონ გელოვანი გამგზავრებულან პეტერბურგში, მეფე ნიკოლოზ მეორესთან შესახვედრად. ქართველი სტუმრები სამეფო კარის მომსახურე პერსონალს დიდი პატივით მიუღიათ, მაგრამ მათი შეპატიჟება სამეფო რეზიდენციის შენობაში ვერ მოუხერხებიათ. ორთავე სტუმარი ისეთი ახოვანი და ფიზიკურად წარმოსადგენი ყოფილან, რომ ჩვეულებრივ კარში ვერ შეტეულან და მათთვის სადარბაზოს კარი გაუღიათ! მეფეს ისინი დიდი პატივით მიუღია, თხოვნაც შეუსრულებია და ლეჩხუმის ცენტრი ლაილაშიდან ცაგერში გადმოუტანიათ.

ამასთან ერთად, მუზეუმში ბევრი დამსახურებული პიროვნების ბიოგრაფიას გაეცნობით. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ცაგერის რაიონის სოფელ ხარაგაულის მცხოვრები ზურაბ კოპალიანის მეცნიერული შრომები კლიმატისა და გლობალური დათბობის თემაზე, რომელსაც 2007 წელს ნობელის პრემია მიუღია. მუზეუმის სტენდებს ამშვენებენ ვახტანგ ჭაბუკიანის, ლადო ასათიანის, მარშალ არჩილ გელოვანის, ცნობილი კალათბურთელის ვლადიმერ (პტიცა) უგრეხელიძის, მსოფლიოში აღიარებული მეცნიერ-ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის, ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების, გიორგი ახვლედიანის, რამაზ და ჯონი ხეცურიანების, ვალერი ასათიანის, ავთანდილ სილაგაძის, რუსი მომღერლის გიორგი ლეფსის (ნემსიწვერიძის) და სხვა მრავალი ცნობილი ლეჩხუმელის ავტობიოგრაფიული ინფორმაციები..

მუზეუმში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი ქალბატონ მაკა ასათიანის ფოტოგამოფენას, რის გამოც გუჯა სიამაყით ამბობდა, ის ყველაზე ლამაზი ქალბატონი ლეჩხუმელიაო.

განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს საგამოფენო დარბაზის გვერდით განთავსებული „ლეჩხუმური მარანი“. მისი დაჭაშნიკებისას დამთვალიერებელი მარანში ნახავს „ცოლიკაურის“, „ტვიშის“, „ადესის“, „ოჯალეშისა“ და „უსახელაურის“ ჯიშის ღვინით სავსე კასრებსა და ბოცებს. მარნის თაროებზე განლაგებულია მურაბები, კომპოტები, ტყემლისა და ალუჩის საწებლები, ჯონჯოლის, ნივრის, კიტრისა და კომბოსტოს მწნილები, კარალიოკის, ჭანჭურისა და კომშის ორნახადი არაყი. სხვადასხვა თაროზე კიდია ნიგვზისა და თხილის ჯანჯუხები, შავი ქლიავის, ლეღვის, მსხლის, ვაშლისა და კომშის ჩირები.

მარნის კედელზე, თეთრ სტენდზე ვკითხულობთ მსოფლიო მეღვინეობის დეგუსტაციის პრეზიდენტის ლურუას (ფრანგი მეცნიერი) მიერ უსახელაურის ღვინის დაგემოვნების შემდეგ წარმოთქმულ სიტყვებს: **„ესაა მიწის, მზისა და ზეცის ნაზავი, რომელიც მხოლოდ ლეჩხუმში ხარობსო“.**

გუჯას თავისი სახლის ჭიშკართან გამოკრული აქვს განცხადება, სადაც იტყობინება, რომ მუზეუმში ფოტოგამოფენის დათვალიერება და ღვინის დეგუსტაცია უფასოა. მისთვის უდიდეს სიამოვნებას წარმოადგენდა მუზეუმის დამთვალიერებელთა მიღება და მის მიერ დამზადებული ღვინითა და ჰურ-მარილით გამასპინძლება. ნამდვილად დიდი ბედნიერება იქნება, თუ მისი შთამომავლობა გააგრძელებს გუჯას ღვაწლმოსილ საქველმოქმედო საქმიანობას და მისი მუზეუმის კარი მუდამ ღია იქნება.

ელგუჯა (გუჯა) ბენდელიანი იყო შესანიშნავი,ქართული ტრადიციული ოჯახის ბურჯი, მამა და ბაბუა. მან სანიმუშო შვილები და შვილიშვილები აღუზარდა ქვეყანას, იმ მშობლიურ ლეჩხუმს, რომლის ულევი სიყვარული თან გაჰყვა მას ამ წუთისოფლიდან.

ძალზედ დასანანია, რომ სამუდამოდ წავიდა ჩვენგან ასეთი კეთილშობილი ადამიანი, მაგრამ იმედი გვაქვს, მისი შეძენილი მეგობრებისა და ყველა თაობის ლეჩხუმელთა მეხსიერებაში მუდამ უკვდავი იქნება მისი ხსოვნა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს და მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს ჭეშმარიტ პატრიოტსა და მამულიშვილს, დაუვიწყარ ელგუჯა ბენდელიანს.

ერთგული მეგობრების სახელით – **გალაქტიონ ახვლედიანი, ვალერი ასათიანი, ავთანდილ აბაშიძე, ჯემალ კუხალაშვილი, ჯუმბერ კოპალიანი, კარლო კოპალიანი, გორის მიქაძე, ჯემალ ჩაკვეტაძე და გენადი (გიზო) კუხალაშვილი**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თანაუგრძნობს გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს ერეკლე გამყრელიძეს და მის ოჯახს მეუღლის

ია გოგბრონიძის

გარდაცვალების გამო.

ს.ს. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა აცხადებს

ა უ ქ ც ი ო ნ ს

ბალანსზე რიცხული დემონტირებული, გამოუსადეგარი ან/და უსარგებლო სასაქონლო მატერიალური ფასეულობებისა და ძირითადი საშუალებების გაყიდვის მიზნით 1 (ერთ) ლოტად.

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: **www.gse.com.ge** და ასევე **www.eauction.ge**

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი

ტელეფონი: ქალაქის–2–510–281, მობილური: 577 240–233

giorgi.odishvili@gse.com.ge

თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს

დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად წარსულში ნასამართლევი 1984 წელს დაბადებული გ.ნ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად სანადირო თოფი, ხელყუმბარა, ამფეთქი ფალია და ნარკოტიკული საშუალება ,,მარიხუანა'' ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების მთავარი სამმართველოსა და საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ა.პ. დააკავეს.

სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი, ხმის ჩამხშობი მაყუჩი და 35 ვაზნა.

გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთისა და ჩოხატაურის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 2 პირი დააკავეს.

სამართალდამცველებმა 1990 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.კ.-ს პირადი ჩხრეკისას, პისტოლეტი, მჭიდი და 7 ვაზნა ამოიღეს.

ხოლო 1964 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი და ასევე ოჯახის წევრის მიმართ მუქარის ბრალდებით დაკავებული ი.ო.-სგან, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ფოთის საქალაქო და ჩხოროწყუს რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ზ.ს. დააკავეს, ხოლო 1971 წელს დაბადებული პირი ამხილეს.

ამოღებულია პისტოლეტი, მჭიდი და 2 ვაზნა.

იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული ლ.გ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას რევოლვერი და 4 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს,“ – ნათქვამია განცხადებაში.

ფარისეველნო!

ფულზე გაყიდულები

«ფარისეველო! გაუტანელო!
სხვასთან თავმხრელო, შინ ომის მთხრელო,
ნაგავის მყრელო, შენ ჭრელო გველო!
რამ შეგაძულა, სთქვი, საქართველო?!»

აკაკი

ვინ გატრენინგებთ, რომ შხამის
ნაყოფი გამოისხით!
სად გაგონილა ასეთი
გასისინება ზიზღით ?

ურცხვებო, ღალატისათვის,
ვინც გიხდით ჯილდოს, ფულადს,
ტვინდაბნელებულთ, სამშობლო
იმანვე შეგაძულათ!

ემზარ კვიტაიშვილი
24.04.2024

გიორგი გიგაშვილის მორიგი აღიარება

პიანისტ გიორგი გიგაშვილს შემოქმედებით ცხოვრებაში უდიდესი სიხარულისა და გედნიერების დღეებია:

ეს მართლა სიგიჟეა უკვე!

2025/2026 წლის **The European Concert Hall Organisation (ECHO)**-ის მიერ დაარსებული პროგრამის **„ECHO RISING STARS“** 5 გამარჯვებულში ვარ, სიხარულით გვამცნობს უნიჭიერესი, ახალგაზრდა მუსიკოსი.

ქართველი პიანისტი – ნომინირებული **Konzerthaus Dortmund, Kölner Philharmonie, Philharmonie Luxembourg, and NOSPR Katowice**-ს მიერ, რაც ნიშნავს მრავალწლიან თანამშრომლობას მსოფლიოც წამყვან ამ საკონცერტო დარბაზებთან, სოლო და ორკესტრთან ერთად კონცერტების გამართვას.

კრისტინა აგილერა ქართველი დიზაინერის ტანისამოსში

მომღერალი კრისტინა აგილერა, ჩილეში გამართულ კონცერტზე ქართველი დიზაინერის, თაკო მექვაბიძის ულამაზესი წითელი ტყავის პალტოთი გამოჩნდა.

ინფორმაციას და ფოტოებს კონცერტიდან დიზაინერი სოციალურ ქსელში ავრცელებს.

ნატო ვაჩნაძის ფონდის პრემიაზე „ელისო“ ნამუშევრების რეგისტრაცია დაიწყო

„ნატო ვაჩნაძის ფონდის“ პრემიაზე „ელისო“, რომელიც წელს პირველად ტარდება, ნამუშევრების მიღება დაიწყო და ეს პროცესი 1 მაისამდე გაგრძელდება. პრემია „ელისო“, რომელიც ქართულ კინოში გამორჩეულ ნამუშევრებს გადაეცემა, ნატო ვაჩნაძის ფონდის პირველი პროექტია, რომელიც თიბილისის მხარდაჭერით ტარდება. დაჯილდოება 14 ივნისს, გურჯაანში, ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმში ჩატარდება. „ნატო ვაჩნაძის ფონდის“ მთავარი პარტნიორები არიან „თეგეტა“, „თეგეტა ქარსი“, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, ასევე „სარაჯიშვილი“, „გალფი“, „**Rooms Hotels**“ და სხვა.

„ნატო ვაჩნაძის ფონდი“ კინემატოგრაფისტების და ოჯახის წევრების ინიციატივით 2023 წელს დაარსდა. ფონდის მთავარი მიზანი ხელოვნების და განსაკუთრებით კი კინემატოგრაფიის განვითარების ხელშეწყობაა. ფონდის მიზნები პირდაპირ კავშირშია ნატო ვაჩნაძის და მისი ოჯახის მემკვიდრეობის გაგრძელებასთან, სწორედ ამიტომ კინემატოგრაფისტთა ხელშეწყობა, ისტორიული კონტექსტის კვლევა, კინოს პოპულარიზაცია და ქალთა გაძლიერება რჩება ფონდის უმთავრეს ღირებულებებად.

წელს პრემია „ელისო“ სამ ნომინაციაში გაიცემა: საუკეთესო რეჟისორი, საუკეთესო მსახიობი და საუკეთესო ოპერატორი. თითოეული გამარჯვებული 5000 ლარით დაჯილდოვდება. კონკურსის პირობების მიხედვით, განიხილება 2023 წელს გადაღებული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური და სრულმეტრაჟიანი მხატვრული ქართული პროდუქციის ან კოპროდუქციის ფილმები.

„ელისო“ ნიკოლოზ შენგელაიას ყველაზე წარმატებული ფილმია, რომელიც დღემდე არ კარგავს აქტუალობას – ქართული ავანგარდის დასაწყისი, რომელიც ნოვატორული თხრობითა და მონტაჟით გამოირჩევა. მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ქართულ მუნჯ ფილმებში ტენდენციურად ქალი ფიგურა ჩაგრული და მსხვერპლია, ფილმის მთავარი პერსონაჟი ელისო კი დინების წინააღმდეგ წასული გმირია. აღსანიშნავია ისიც, რომ ელისოს როლის შემსრულებელი, ნატო ვაჩნაძის და, საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი კირა ანდრონიკაშვილია.

მსურველებს პრემიაზე რეგისტრაციის გავლა შემდეგ ლინკზე შეუძლიათ: **ElisoAwards** „ნატო ვაჩნაძის ფონდის“ შესახებ მეტ ინფორმაციას გაეცანით ვებ-გვერდზე:

ხულოს დრამატულ თეატრში ღონისძიება – „ამაგდარი“ გაიმართა

ხულოს დრამატულ თეატრში მუნიციპალიტეტში მცხოვრები ღვაწლმოსილი ადამიანები დააჯილდოვეს.

ღონისძიების ფარგლებში, მუნიციპალიტეტში მცხოვრები 31 ღვაწლმოსილი ადამიანის დაჯილდოების ცერემონიალი მოეწყო. მადლობის სიგელებით დაჯილდოვდნენ ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ცხოვრება, უანგაროდ, სხვებზე ზრუნვასა და შრომაში გაატარეს.

ღვაწლმოსილი ადამიანების საპატივსაცემოდ, სხვადასხვა ანსამბლებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობით კონცერტი ჩატარდა

ღონისძიებას, ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომრის მოადგილე ტიტე არაშიძე, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსი მამუკა თურმანიძე, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ

ღონისძიების მიზანია გამოავლინოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანები, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით სხვებზე ზრუნვაში

გერმანელი მილიარდერი, რომელიც 2018 წლიდან გარდაცვლილად ითვლებოდა, მოსკოვში საყვარელთან აღმოაჩინეს

ექვსი წლის განმავლობაში მამაკაცი გარდაცვლილად ითვლებოდა.

Tengelmann ჯგუფის ყოფილი ხელმძღვანელი, რომელიც ფლობს **OBI** სამშენებლო და საყოფაცხოვრებო საქონლის მაღაზიების საერთაშორისო საცალო ქსელს, კარლ-ერივან ჰაუბი, მოულოდნელად აღმოაჩინეს მოსკოვში თავის საყვარელთან ერთად.

ეს ამბავი ტელეკომპანია **RTL**-ის გერმანელი ჟურნალისტების გამოძიების შედეგად გამოაშკარავდა.

2018 წლის აპრილში ჰაუბი ალპებში თხილამურებით სასრიალოდ წავიდა. თუმცა საბოლოოდ მილიარდერი ტურიდან აღარ დაბრუნდა. მიზნესმენის ძებნითი ოპერაცია წარუმატებელი აღმოჩნდა.

სამი წლის შემდეგ კიოლნის სასამართლომ ოფიციალურად გასცა გერმანელი მილიარდერის გარდაცვალების მოწმობა.

თუმცა, ჟურნალისტების გამოძიების მტკიცებით, კარლ-ერივან ჰაუბი, რომელიც ახლა გარდაცვლილად ითვლება, მოსკოვში ცხოვრობს თავის საყვარელთან, ვინმე ვერონიკა ერმილოვასთან ერთად. როგორც გაირკვა, 2018 წელს, მიზნესმენმა გაუჩინარებამდე სამი დღით ადრე 13-ჯერ დაურეკა ვერონიკა ერმილოვას, აქედან ერთი ზარის ხანგრძლივობა საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

სხვა დეტალები ჯერჯერობით არ კონკრეტდება.

კარლ-ერივან ჰაუბი 2000 წლიდან ხელმძღვანელობს **Tengelmann** ჯგუფს. ცნობილია, რომ მისი ოჯახი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარია გერმანიაში. **Forbes**-ის მიხედვით, მისი ქონება 4, 4 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა.წ.ერეთლის №116 (ფიფუნეიშვილის)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. გალდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 2 მაისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6760; ევრო - 2.8713;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3479;
100 რუბლი - 2.9096; თურქული ლირა - 0.0822;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5737;
1000 სომხური დრამი - 6.8440

ამინდი 29 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+10,	დღე +32
მთიანი რაიონები -	ღამე	+6,	დღე +32
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+11,	დღე +30
მთიანი რაიონები -	ღამე	+9,	დღე +29
თბილისი:	ღამე	+13,	დღე +31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge